*დანართი №2*

## სსიპ კოლეჯის „ახალი ტალღა“ მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „ბაღის დიზაინი“ რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე: ვალერი ჯაჯანიძე

**წევრები:**

ქეთევან გელაშვილი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

**ნაწილი I. შესავალი**

**I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ**

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ - კოლეჯი „ახალი ტალღა“**

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: **246954620**

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

## II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 12 მარტის N 269279 ბრძანების საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს, შემადგენლობით: ვალერი ჯაჯანიძე - თავმჯდომარე, ქეთევან გელაშვილი - წევრი, დაევალა ქ. ქობულეთში, სსიპ კოლეჯის ,,ახალი ტალღა“ მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "ბაღის დიზაინი" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სსიპ კოლეჯის ,,ახალი ტალღა“, მიერ განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და 2025 წლის 27 მარტს განახორციელა ვიზიტი, ქ. ქობულეთში წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად, ვიზიტი თანამშრომლობით და საქმიან გარემოში წარიმართა, ჩატარდა გასაუბრება დაწესებულების დირექტორთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული მოდულების განმახორციელებლებთან. ექსპერტების მიერ შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობა, მატერიალური და სასწავლო რესურსის ხელმისაწვდომობა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობა, სასწავლო პროცესის პრაქტიკული ორგანიზებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა. ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო წარმოების ფარგლებში იდენტიფიცირებული მიგნებები და შეაჯამა ვიზიტი. ექსპერტთა შეფასებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბაღის დიზაინი“ ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან მიმართებაში შეფასდა როგორც სრულად შესაბამისი.

## III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| 2) საგანმანათლებლო პროგრამები | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

**II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება**

არ გამოვლენილა

**III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება**

შესაბამისობის რეკომენდაცია/ები არ გაცემულა

**IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება**

**2.1.1.1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.**

**განმავითარებელი რეკომენდაცია:** მიზანშეწონილია კოლეჯმა პროგრამის მიზანშეწონილობის კვლევისას უფრო ფართო მასშტაბით ასახოს საკუთარი კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლები.

**V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე**

დაწესებულება დაეთანხმა ექსპერტთა მიერ შემუშავებულ დასკვნაში მოყვანილ რეკომენდაციებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

## ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

### I. ზოგადი ინფორმაცია

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ბაღის დიზაინი |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ბაღის დიზაინში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0812 |
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ქობულეთი, რუსთაველის №154 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | 17/02/2025 წლის N 01-04/29 ბრძანება |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | იმიტირებულ სამუშაო გარემოში |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 45 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)* | 45 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 115 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

| | |
|---|---|
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 85 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 145 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 115 |

**II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ**

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

**ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება**

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

2.1.1.1. **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.**

სსიპ კოლეჯის ,,ახალი ტალღა'' დირექტორის 2025 წლის 12 თებერვლის N01-04/22 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის წესი“, განსაზღვრულია კოლეჯის მიერ ახალი პროფესიული პროგრამის დამუშავების და დამტკიცების პროცედურები. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით დგინდება, რომ კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების ინიციატორი შეიძლება იყოს კოლეჯი, დამსაქმებელი, დარგობრივი ასოციაცია, საინიციატივო ჯგუფი, სხვა. პროგრამის დამატების შესახებ ინიცირება ხდება წერილობითი ფორმით, რის საფუძველზეც კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისა და მართვის მენეჯერი მოიპოვებს ინფორმაციას და წარმოადგენს „პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებას“. პროგრამის დამატების ინიციატივას და მის მიზანშეწონილობას იხილავს კოლეჯის დირექტორი დირექტორის მოადგილესთან, ხარისხის მართვის მენეჯერთან, შესაბამისი დარგის სპეციალისტებთან ერთად. გადაწყვეტილებას პროგრამის დამატებისა და პროგრამის განხორციელების მიდგომის შესახებ ღებულობს კოლეჯის დირექტორი, რომელიც ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას, კოლეჯის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას, პროგრამის დამატებისა და განხორციელების შესახებ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილობითი თანხმობის შემდეგ. კოლეჯი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შეიმუშავებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას. წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ბაღის დიზაინი“ წარმოადგენს ამავე სახელწოდების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებულ ვერსიას, რაც საგანმანათლებლო სტანდარტის ცვლილებითაა გამოწვეული, უნდა აღინიშნოს, რომ კოლეჯი წარმატებით ახორციელებდა სტანდარტის ცვლილებამდე არსებულ პროგრამას.

წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ბაღის დიზაინი“ თვითშეფასების ფორმაში არსებული მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი გვაძლევს სრულ სურათს პროგრამის განხორციელების საჭიროების შესახებ, აღნიშნულ დოკუმენტში წარმოდგენილია სხვადასხვა ტიპის კვლევები, როგორც რეგიონის ასევე მთელი ქვეყნის მასშტაბით, ასევე მოყვანილია კოლეჯის მიერ განხორციელებული კვლევა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლების შესახებ, რომელიც საჭიროებს უფრო მეტ მასშტაბურობას. რამდენადაც სსიპ კოლეჯი ,,ახალი ტალღა“ 2018 წლიდან ახორციელებს მსგავსი დასახელების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ,,ბაღის დიზაინი“. შესაბამისად მნიშვნელოვანია დაწესებულებამ მეტი ინფორმაცია წარმოადგინოს პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების მხრივ საკუთარი კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლების ასახვით, უფრო კონკრეტულად - თუ რა ოდენობის კურსდამთავრებული ჰყავს დაწესებულებას მონათესავე პროგრამის (,,ბაღის დიზაინი“, რომელიც ხორციელდება 2018 წლიდან) ფარგლებში და როგორია მათი დასაქმების მაჩვენებელი. რაც შესაძლებლობას მისცემ პსდ-ს უფრო ზუსტად შეაფასოს საკუთარი თავი, როგორც აღნიშნული სფეროს შრომის ბაზრისთვის შესაბამისი კვალიფიკაციის ადამიანური რესურსის მიმწოდებელი.

პსდ-ს გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბაღის დიზაინი“ განხორციელებასთან დაკავშირებით შესაბამისობაშია კოლეჯის მისიასთან, კერძოდ დაწესებულების მისიაა „პროფესიული განათლების სისტემის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოებით და თავსებადობით, მრავალპროფილური პროფესიული განათლებით წვლილი შევიტანოთ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი კადრების მიწოდებით. სოციალური ინკლუზიით, ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარებით, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობით უზრუნველყოს საზოგადოებრივი კეთილდღეობის ზრდა“. კოლეჯის გადაწყვეტილება წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებისა და განხორციელების შესახებ ეფუძნება პსდ-ს დირექტორის 2019 წლის 29 იანვრის №01-04/13 ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების გეგმის პირველ სტრატეგიულ მიზანს, რაც თავის მხრივ განმტკიცებულია მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმით.

**განმავითარებელი რეკომენდაცია:** მიზანშეწონილია კოლეჯმა პროგრამის მიზანშეწონილობის კვლევისას უფრო ფართო მასშტაბით ასახოს საკუთარი კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლები.

**2.1.1.2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.**

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,ბაღის დიზაინი“ დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია პროგრამით და წარმოადგენს სრულ ზოგად განათლებას (შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი) იმ შემთხვევაში, როდესაც მიღება ცხადდება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზეც სასწავლო პროცესი წარიმართება ე.წ. არაინტეგრირებული სასწავლო გეგმით, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც მიღება ცხადდება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,ბაღის დიზაინი“, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები და სასწავლო პროცესი წარიმართება ე.წ. ინტეგრირებული სასწავლო გეგმით, პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო ზოგადი განათლება.

პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები განსაზღვრულია 26/06/2024 წლის N 01-04/107 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტის ჩარიცხვის წესი“, რომელიც ითვალისწინებს ჩარიცხვის პროცესთან დაკავშირებულ ყველა პროცედურას: დაინტერესებულ პირთა კონსულტირებით, რეგისტრაციით, შერჩევით, საკონკურსო კომისიის ჩამოყალიბებით და სხვა.

**2.1.1.3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სსიპ კოლეჯში ,,ახალი ტალღა“ მოქმედებს დაწესებულების მიერ შემუშავებული პროესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 14 იანვრის # 01–04/6 ბრძანებით. წარმოდგენილი დოკუმენტის საფუძველზე განისაზღვრება პროგრამის განხორციელების მიდგომისა და სპეციფიკის გათვალისწინებით საჭირო მატერიალური და ადამიანურ რესურსი, სასწავლო გარემოთა ტიპი და ოდენობა.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ბაღის დიზაინი“ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობაა 45 პროფესიული სტუდენტი, მ.შ. ინტეგრირებულ სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სწავლებაზე 45 პროფესიული სტუდენტი. პსდ-ს წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით გამოყოფილი აქვს ერთი სალექციო აუდიტორია - A გარემო, 15 პროფესიულ სტუდენტზე, ერთი კომპ. კლასი - B სასწავლო გარემო, 15 პროფესიულ სტუდენტზე და ასევე პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის საჭირო - C გარემო შესაბამისი ინვენტარით 15 პროფესიულ სტუდენტზე. დაწესებულების წარმომადგენელთა განცხადებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,ბაღის დიზაინი“ მიღება იგეგმება 15-15 პროფესიულ სტუდენტზე, ორ ცვლაში მიმდინარე სასწავლო პროცესის უზრუნველყოფით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რომელშიაც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, ზოგადი მოდულების განხორციელების მიზნით კოლეჯში არსებობს შესაბამისი ლაბორატორია, რომელიც შესაბამისობაშია კოლეჯის გაცხადებულ სურვილთან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ბაღის დიზაინი“ შემთხვევაში მიიღოს 15-15 პროფესიული სტუდენტი ორ ცვლაში.

**2.1.1.4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.**

პსდ-ს მიერ წარმოდგენილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ბაღის დიზაინი“ დამატების შესახებ განაცხადს თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი და სასწავლო რესურსი, რომელიც წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ მოდულში. აღნიშნული რესურსი გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამით და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.

**2.1.1.5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ბაღის დიზაინი“ არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

**2.1.1.6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილი პირი განისაზღვრება კოლეჯის ,,ახალი ტალღა“ დირექტორის 2023 წლის 06 ივნისის N01-04/112 (ცვლილება: 2025 წლის 12 თებერვლის N01-04/22 ბრძანება) ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ საფუძველზე და შესაბამისად აღნიშნული უფლებამოსილება აქვს კოლეჯის დირექტორს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ბაღის დიზაინი“ დამტკიცებულია კოლეჯის ,,ახალი ტალღა“ დირექტორის 17/02/2025 წლის N 01-04/29 ბრძანებით.

**2.1.1.7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.**

კოლეჯის ,,ახალი ტალღა“ მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებაა ,,ბაღის დიზაინი“, რომელიც გამომდინარეობს შესაბამისი საგანმანათლებლო სტანდარტის სახელწოდებიდან, აღნიშნული სახელწოდება სრულად მოდის შესაბამისობაში პროგრამის შინაარსთან და მისაღწევ სწავლის შედეგებთან, შესაბამისად წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ბაღის დიზაინი“ არ არის შეცდომაში შემყვანი.

**2.1.1.8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ბაღის დიზაინი“ დამუშავებულია ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ 02/05/2024 წლის N 503536 (ცვლილება 02/09/2024 N1046208) ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „ბაღის დიზაინი“ საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს №170/ნ ბრძანებას „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ დოკუმენტის შესაბამისად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები. პროგრამას თან ერთვის ზოგადი და სავალდებულო მოდულები, ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის შესახებ და ინტეგრირებული და არაინტეგრირებული სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის საკონტაქტო დამოუკიდებელი საათების და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით. სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. მოდულებში აღნიშნულია შეფასების მიმართულებები, ინფორმაცია მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით, საათების გადანაწილების სქემა, საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი და ინფორმაცია სსსმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ კოლეჯის ,,ახალი ტალღა“ მისია;
- სსიპ კოლეჯის ,,ახალი ტალღა“ სტრატეგიული განვითარების გეგმა (2019-2025 წწ.);
- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

- „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტის ჩარიცხვის წესი“;
- განაცხადის დანართი #4 სახით წარმოდგენილიპროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ბაღის დიზაინი“ მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- კოლეჯის ,,ახალი ტალღა“ დირექტორის 17/02/2025 წლის N 01-04/29 ბრძანება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ბაღის დიზაინი“ დამტკიცების შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**2.2.1.1 პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**

სსიპ კოლეჯის „ახალი ტალღა“ მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ბაღის დიზაინი“ სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესაბამისობის დადგენის მიზნით ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა გარემო, გაეცნო დოკუმენტაციას და გაესაუბრა პროფესიული პროგრამის “ბაღის დიზაინი“ განმახორციელებლებს. კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა სსიპ კოლეჯის „ახალი ტალღა“ მიერ პროფესიული პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი A, B, C სასწავლო გარემოში არსებული მატერიალური რესურსის შესაბამისობა - A და B მოწყობილია და აღჭურვილია პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის 15 პროფესიული სტუდენტისთვის შესაბამისი მონაცემების 15 კომპიუტერით, სახატავი მოლბერტებით, ტუმბოებით და ხატვისთვის საჭირო სხვა ინვენტარით (სფერო, კონუსი, კუბი, თიხის ჭურჭელი). ასევე ხაზვისთვის საჭირო ინვენტარი (სახაზავები, რეიშინა) და მასალები. წინასაპროექტო სამუშაოების მოდულისთვის განკუთვნილი ასაზომი ხელსაწყოები, ფოტოკამერა, GPS ნავიგატორი. დაწესებულებას უზრუნველყოფილი აქვს ასევე აგრარული მიმართულების მოდულებისთვის საჭირო ინვენტარი: ბარი, თოხი, ფოცხი, სეკატორი, სარწყავი საშუალებები. რაც შეეხება C სასწავლო გარემოს დეკორატიული მცენარეების, აგროკულტურების მოდულის სწავლებისთვის კოლეჯს გამიზნული აქვს კოლეჯის შენობის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის გამოყენება.

კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტში, ჩატვირთულია შესაბამისი კომპიუტერული სასწავლო პროგრამები (ArchiCAD, Photoshop, Lumion), კედლებზე გამოკრულია მაღალი ხარისხის თვალსაჩინოებები.

დაწესებულების ბუღალტერმა მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელ დოკუმენტებად წარმოადგინა შესყიდვის შესახებ დოკუმენტაცია, მიღება-ჩაბარების აქტები, რომლებშიც ასახულია პროგრამისთვის საჭირო რესურსი.

პროფესიული პროგრამის განხორციელებისთვის სკოლის მიერ გამოყოფილი ფართი არის ნათელი, საჭირო კლიმატით უზრუნველყოფილი, ფუნქციური და შესაბამისია ავტორიზაციის სტანდარტით მოთხოვნილ პირობებთან.

**2.2.1.2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.**

პროფესიულ საგანანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის განსაზღვრულია 23 განმახორციელებელი პირი, მათ შორის 20 პროფესიული განათლების მასწავლებელი განახორციელებს ზოგად და ზოგად ინტეგრირებულ, ხოლო 3 - პროფესიულ მოდულებს. ამ ეტაპზე, მასწავლებელთა რაოდენობა უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

შესაბამისად, ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ დასტურდება, რომ დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილია პროგრამის განხორციელების მდგრადობა მოზიდული და განხორციელებაში ჩართული ადამიანური რესურსებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

**2.2.1.3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.**

ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეების შესწავლა და მათთან გასაუბრება, რის შედეგადაც დადგინდა, რომ წინარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირები სრულად აკმაყოფილებენ პსდ-ს მიერ პროფესიული მასწავლებლისადმი წაყენებულ მოთხოვნებს და დაკავებულ პოზიციაზე მათი შერჩევა მოხდა კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების შესაბამისად. გასაუბრებიდან გაირკვა, რომ პროგრამის განხორციელებისათვის შერჩეულ მასწავლებლებს კოლეჯში განხორციელებული ძველი პროგრამის ფარგლებში აქვთ მოდულური სწავლების გამოცდილებაც, ასევე პროფესიულ მასწავლებლების უმრავლესობას გავლილი აქვს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული პროფესიული განათლების მასწავლებელთა პედაგოგიური პროგრამის სრული კურსი.

პირადი საქმეების განხილვის შედეგად დადგინდა, რომ პროფესიული პროგრამის ,,ბაღის დიზაინი" პროფესიული მოდულების განმახორციელებლად შერჩეული პირები მუდმივად მონაწილეობენ სხვადასხვა ტიპის ტრენინგ-პროგრამებში, რაც დასტურდება შესაბამისი სერტიფიკატებით.

**2.2.1.4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.**

პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამას ჰყავს მაღალი დარგობრივი კომპეტენციისა მქონე ხელმძღვანელი, რომლის კომპეტენციაც დასტურდება დიპლომით და შესაბამისი გამოცდილებით, ხოლო მასთან გასაუბრებით დადასტურდა  მისი მზაობა პროგრამას უხელმძღვანელოს სათანადო დონეზე. მისი ფუნქციები ანაზღაურება და სხვა სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება მასთან გაფორმებული 2025 წლის 14 თებერვლის №01-37/07 ხელშეკრულებით. ასევე 17/02/2025 წლის N 01-04/28 ბრძანებით დამტკიცებულია პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები. ექსპერტების პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით დადასტურდა მისი ჩართულობა პროგრამის მოდიფიცირებისა და განხორციელების პროცესში.

**2.2.1.5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.**

დაწესებულებაში არსებული ყველა საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ბეჭდური/ელექტრონული სახით სტუდენტებისათვის. ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია სასწავლო რესურსი. ელექტრონული სასწავლო რესურსი განთავსებულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში, საიდანაც მოხდება მომხმარებლის სურვილის შესაბამისად, მასალების მიწოდება (ელექტრონულ მატარებლებზე გადატანა ან ბიბლიოთეკაში დაბეჭდვა). ბიბლიოთეკის ფონდი შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებულ ლიტერატურას. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და მუდმივად წარმოებს ყოველდღიური აღრიცხვის ჟურნალის შევსება.

**2.2.1.6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულებაში შექმნილია ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემო. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

**2.2.1.7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

კოლეჯს შემუშავებული ჰქონდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ბაღის დიზაინი“ საპროგნოზო ბიუჯეტი, როგორც ინტეგრირებული, ისე არაინტეგრირებული სასწავლო გეგმით განხორციელების შემთხვევაში, საპროგნოზო ბიუჯეტი შეიცავდა პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ სავარაუდო შემოსავლებისა და ხარჯების კალკულაციას. შემოსავალი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას, სადაც გათვალისწინებულია შემოსავლებში - ვაუჩერული დაფინანსება. ხარჯებში - პროფესიული მასწავლებლების შრომითი ანაზღაურება და მასალა-ნედლეულის ხარჯი. საპროგნოზო ბიუჯეტის მიხედვით პროგრამა მდგრადი იყო, რადგან სავარაუდო ხარჯების ნაწილს ფარავს შემოსავლების ნაწილი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ კოლეჯის ,,ახალი ტალღა“ მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ბაღის დიზაინი“ განსახორციელებლად საჭირო A, B და C გარემოს ვიზუალური დათვალიერება;
- ინტერვიუ შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან;
- პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გაფორმებული წინარე ხელშეკრულებები;
- პროგრამის ხელმძღვანელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- სსიპ - კოლეჯის "ახალი ტალღა" დირექტორის 2025 წლის 17 თებერვლის N 01-04/29 ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ბაღის დიზაინი“ დამტკიცების შესახებ;
- პროგრამის ხელმძღვანელთან გაფორმებული ხელშეკრულება 2025.14.02, №01-37/07.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

☐ არ შეესაბამება

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**2.3.1.1 პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**

სსიპ კოლეჯის ,,ახალი ტალღა“ დირექტორის 2023 წლის 06 ივნისის N01-04/112 (ცვლილება 2025 წლის 12 თებერვალი N01-04/22) ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, აღნიშნული დოკუმენტის მე-7 მუხლის მიხედვით განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება - განვითარების პროცედურები, პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასება, შედეგების ანალიზი და მასში ცვლილებების განხორციელების წესი.

პროგრამის შეფასების მიზნით დაწესებულება ასევე იყენებს სსიპ კოლეჯის ,,ახალი ტალღა“ დირექტორის 2023 წლის 13 ივნისის N01-04/122 ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტს „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“, რომელიც მოიცავს სისტემურობას და ხარისხის კონტროლის ციკლურ სისტემას, ე.წ. დემინგის ციკლს - ,,დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე და განავითარე“ პროგრამის შეფასების მიზნით გამოიყენება უკუკავშირის მექანიზმი. წარმოდგენილი დოკუმენტის „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“ დანართის სახით დამუშავებულია სხვადასხვა სახის კითხვარები, როგორც უკუკავშირის მექანიზმის ერთ-ერთი ინსტრუმენტი. კერძოდ, ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასებისთვის საჭირო კითხვარები პროფესიული სტუდენტისთვის, პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, დუალური პროგრამების ინსტრუქტორისთვის, კურსდამთავრებულებისათვის და პარტნიორი ორგანიზაციისთვის.

აღნიშნული კითხვარები ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს კურსდამთავრებულებისაგან და დამსაქმებლებისაგან, სოციალური პარტნიორებისგან, პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების მოსაზრებებს, პროფესიულ ასოციაციებთან კონსულტაციებს, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას, უახლესი კვლევის შედეგებს. ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ ანალიზის დროს კოლეჯი ასევე ითვალისწინებს სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგებსაც. სწავლების ერთი ციკლის დასრულების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

შემდეგ კოლეჯი აანალიზებს პროგრამის განხორციელების მიმდინარეობას და საჭიროების შემთხვევაში შეაქვს ცვლილებები „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად.

**2.3.1.2 2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

სსიპ კოლეჯში ,,ახალი ტალღა“ მოქმედებს დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 13 ივნისის N01-04/122 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“, აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე ირკვევა, რომ კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია ე.წ. ,,დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე და განავითარე“ მოდელზე. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავების, დანერგვის და აღსრულების მიზნით დაწესებულებაში არსებობს ხარისხის მართვის მენეჯერის და ხარისხის მართვის სპეციალისტების საშტატო ერთეულები. პროგრამის შეფასების მიზნით გარკვეული პერიოდულობით წარმოებს პროგრამის ფარგლებში არსებული სალექციო/პრაქტიკული მეცადინეობების და შეფასების პროცესის ხარისხობრივი ანალიზი. პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიულ მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვების საფუძველზე. პროფესიულ სტუდენტთა, მასწავლებელთა გამოკითხვას უზრუნველყოფს ხარისხის მართვის მენეჯერი, ხოლო კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა ხორციელდება პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ, ასევე კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკას აწარმოებს პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი. წარმოდგენილი კვლევის შედეგები გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გასაუმჯობესებლად, სასწავლო პროცესის ხარისხის ასამაღლებლად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ კოლეჯში ,,ახალი ტალღა“ მოქმედებს დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 13 ივნისის N01-04/122 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“;
- სსიპ კოლეჯის ,,ახალი ტალღა“ დირექტორის 2023 წლის 06 ივნისის N01-04/112 (ცვლილება 2025 წლის 12 თებერვალი N01-04/22) ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**2.4.1.1 პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბაღის დიზაინი“ განაცხადის დანართებში წარმოდგენილია 2 სასწავლო გეგმა (არაინეგრირებული და ინტეგრირებული სწავლების ფორმისთვის). სასწავლო გეგმებით განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, სასწავლო გეგმები ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის შუალედურ და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებას, შუალედური გამოცდის პერიოდი განსაზღვრულია არსებული მოთხოვნების შესაბამისად. ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ზოგადი მოდულების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 3-4 საათს რაც შესაძლებელს ხდის მეტად დაკმაყოფილდეს სტუდენტის ინტერესი პროფესიული მოდულების მიმართ.

**2.4.1.2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.**

პსდ-ს მიერ დამუშავებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების/შეჩერების/შეწყვეტის პროცედურებს, ლექცია-პრაქტიკულების მიმდინარეობას, დასწრებისა და გათავისუფლების მექანიზმებს, მობილობის, პროგრამის შეცვლის, ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმებს, შეფასებისა და აპელაციის, ფორმალური განათლების აღიარების პროცედურებს. დაწესებულების ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში სწავლა განხორციელდება ორ ცვლაში, პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების, კერძოდ, სასწავლო გეგმებით განსაზღვრული პროგრამის ხანგრძლივობის და დასრულებისათვის მისაღწევი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

შედეგების გათვალისწინებით. თუმცა, ზოგჯერ არსებობს გარემოებები, მაგ, ფორს-მაჟორული გარემოებები, როცა სასწავლო გეგმის დაცვა ვერ ხერხდება. ასეთ შემთხვევებში სტუდენტთა ინტერესების დაცვის მიზნით კოლეჯი მოქნილად რეაგირებს მსგავს გარემოებებზე.

**2.4.1.3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.**

პროგრამა აღჭურვილია სწავლის შედეგის მიღწევისთვის საჭირო ყველა მატერიალურ-ტექნიკური რესურსით და შესაბამისი თანამედროვე ტექნოლოგიებით. უმეტესად ესაა თანამედროვე პროგრამული უზრუნველყოფა რომელიც გამოიყენება ბაღის დიზაინის მოდელის შექმნისათვის და განსაზღვრული მახასიათებლების მქონე ელემენტების მოდელირების პროცესში. პროფესიულ მასწავლებლებს პირადი საქმეებისა და გასაუბრების საფუძველზე უდასტურდებათ დარგობრივ და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებულ ტრენინგებზე დასწრება.

**2.4.1.4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.**

სსიპ კოლეჯის ,,ახალი ტალღა“ დირექტორის 2020 წლის13 ივლისის №01-04/112 ბრძანებით დამტკიცებული (ბოლო ცვლილება 12.02.2025 წლის N01- 04/21 ბრძანებით) „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ განმარტავს სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების დაკმაყოფილების პროცედურებს, კერძოდ დოკუმენტი ითვალისწინებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესს, დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლები სწავლებისას ითვალისწინებენ პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. რაშიც მათ ეხმარებათ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული ტრენინგი ,,სტუდენტთა ინდივიდუალური თავისებურებანი პროფესიულ განათლებაში“. საჭიროების შემთხვევაში იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. ინდივიდუალურ საჭიროებად განიხილება ყველა შემთხვევა, როდესაც სტუდენტის ან სტუდენტთა ჯგუფის სწავლება ძირითადი სასწავლო გეგმით ვერ განხორციელდება, როგორიცაა სტატუსშეჩერებული სტუდენტის დაბრუნება სასწავლო პროცესში, მობილობა, პროგრამაში ცვლილებების შეტანა და სხვა შემთხვევები. აღნიშნული საკითხები რეგულირდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურით, რომელიც თავის მხრივ ითვალისწინებს ინდ. სასწავლო გეგმის შედგენაში კოლეჯის მხრიდან პროფესიული განათლების მასწავლებლის, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის, სასწავლო პროცესის მენეჯერის, ზოგიერთ შემთხვევაში პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობას, ხოლო კოლეჯში მოქმედი წესის შესაბამისად ინდ. სასწავლო გეგმის შედგენაში ჩართულობის აუცილებლობა პროფესიულ სტუდენტს, ან მის უფლებამონაცვლეს არ აქვს, რაც თავის მხრივ ბუნდოვანს ხდის ინდ. სასწავლო გეგმის შედგენის პროცესს, წინამდებარე წესის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის და მე-6 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის თანახმად პროფესიული სტუდენტი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში - მისი კანონიერი წარმომადგენელი) მხოლოდ უფლებამოსილია ჩართული იყოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში, რაც თავისთავად გამორიცხავს აღნიშნულ პროცესში სტუდენტის, ან მისი უფლებამონაცვლის ჩართულობის აუცილებლობას. პსდ-ს წარმომადგენელთა განმარტებით დოკუმენტში არსებული ჩანაწერი წარმოადგენს ტექნიკური ხასიათის ხარვეზს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისას, სტუდენტი, ან მისი უფლებამონაცვლე აუცილებლად ჩართულია გეგმაზე მომუშავე ჯგუფში და შესაბამისად მონაწილეობს აღნიშნული გეგმის შედგენაში, მისი ინტერესების გათვალისწინებით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა **ზეპირი რეკომენდაცია,** რომ მიზანშეწონილია დაწესებულებამ დოკუმენტში „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ მე-18 მუხლის ,,ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი“ მე-5 პუნქტის ბ) ქვეპუნქტში და მე-6 პუნქტის ა), ბ), გ) ქვეპუნქტების აღწერისას გამოასწოროს ტექნიკური ხასიათის ხარვეზი და მოახდინოს ინდ. სასწავლო გეგმის შედგენის პროცესი გაწერა არსებული პრაქტიკის შესაბამისად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

**2.4.1.5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ბაღის დიზაინი" სსიპ კოლეჯის ,,ახალი ტალღა" მიერ განხორციელდება იმიტაციურ სამუშაო გარემოში, შესაბამისად აღნიშნული პროგრამის განხორციელების ფარგლებში კოლეჯი არ იყენებს პარტნიორ ორგანიზაციას და სრულად საკუთარი რესურსით წარმართავს სასწავლო პროცესს.

**2.4.1.6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ბაღის დიზაინი" სალექციო მეცადინეობები ჩატარდება A და B სასწავლო გარემოში ,ხოლო პრაქტიკული მეცადინეობისთვის კოლეჯს გამოყოფილი აქვს მის საკუთრებაში არსებული ეზო გამწვანევბით და ნარგავებით, შესაბამისად აღნიშნულ გარემოში პროფესიული სტუდენტები გამოიყენებენ აგროკულტურების მოვლისათვის საჭირო ინვენტარსა და მოწყობილობებს, რაც არ საჭიროებს უსაფრთხოების განსაკუთრებულ მოთხოვნებს და საკმარისია პრაქტიკული მეცადინეობის დაწყებამდე ზეპირი ინსტრუქტაჟი, რაც განხორციელდება პროფესიული მასწავლებლის მიერ პრაქტიკული კომპონენტის სწავლების პროცესში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო გეგმა/გეგმები;
- სსიპ კოლეჯის ,,ახალი ტალღა" დირექტორის 2020 წლის13 ივლისის №01-04/112 ბრძანებით დამტკიცებული (ბოლო ცვლილება 12.02.2025 წლის N01- 04/21 ბრძანებით) „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი";
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ბაღის დიზაინი" პაკეტი.

**2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**2.4.2.1 პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სსიპ კოლეჯს ,,ახალი ტალღა“ სტუდენტთა შეფასების სისტემის სრულყოფის მიზნით განსაზღვრული აქვს პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული რეგულაციები, რომელიც გაწერილია დოკუმენტში სსიპ კოლეჯის ,,ახალი ტალღა“ დირექტორის 2020 წლის13 ივლისის №01-04/112 ბრძანებით დამტკიცებული (ბოლო ცვლილება 12.02.2025 წლის N01- 04/21 ბრძანებით) „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, მოქმედი შეფასების სისტემა არის სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლიანი. ამ წესის შესაბამისად მოქმედებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა, რომლის მიხედვითაც შეფასების პროცესამდე მინიმუმ ორი კვირით ადრე პროფესიული განათლების მასწავლებელი სასწავლო პროცესის კოორდინატორს წარუდგენს შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტს ტექნიკური მხარის შესამოწმებლად და პროგრამის ხელმძღვანელს შინაარსობრივი მხარის შესამოწმებლად. დოკუმენტში გაწერილია, თუ როგორ იქცევა სტუდენტი განმსაზღვრელი შედეგის უარყოფითი შეფასების მიღებისას, სტუდენტთა კონსულტირება, კვალიფიკაციის მინიჭება და მტკიცებულებების შენახვა. ამავე დოკუმენტში აღწერილია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების გასაჩივრების წესი. წარმოდგენილი დოკუმენტი ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების პროცედურებს. დოკუმენტში ნათლადაა ასახული შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი.

**2.4.2.2 პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.**

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის შიგა ვერიფიკაციის მიზნით დაწესებულება იყენებს სსიპ კოლეჯის ,,ახალი ტალღა“ დირექტორის 2023 წლის 13 ივნისის N01-04/122 ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტს „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“, აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირია ხარისხის მართვის მენეჯერი. შიდა ვერიფიკაციის პროცესში ასევე ჩართულია ხარისხის მართვის სპეციალისტები, დარგის სპეციალისტები. დოკუმენტი ნათლად ასახავს, რომ შეფასება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პრინციპებს: ვალიდურობა; სანდოობა; გამჭვირვალობა; სამართლიანობა; ობიექტურობა. წარმოდგენილი დოკუმენტი ნათლად ასახავს შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების შესაბამისობის მექანიზმს, კერძოდ ხორციელდება თუ არა პროფესიული სტუდენტის შეფასება სტანდარტის მიხედვით, მოწმდება მიღებული გადაწყვეტილებების სისწორე და გაკეთებული შეფასებების ობიექტურობა. კოლეჯში ვერიფიკაცია სამი მიმართულებით ხორციელდება: 1. შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; 2. პროცესის ვერიფიკაცია; 3. მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის მექანიზმი ითვალისწინებს შესაფასებელი ინსტრუმენტის/მტკიცებულების/პროცესის შერჩევას წინასწარ განსაზღვრული რისკ-ფაქტორების მიხედვით. ვერიფიკაციის პროცესის დასასრულს მუშავდება ვერიფიკაციის დასკვნა, რომელიც გამოყენებული იქნება შეფასების სისტემის დახვეწის მიზნით, კერძოდ დასკვნა განიხილება ჩართულ მხარეებთან, რომლებიც ერთობლივად მუშაობენ პრობლემების აღმოფხვრის გზებზე და ახორციელებენ შემდგომ ნაბიჯებს შეფასების სისტემის განვითარების მიზნით. ამავე დოკუმენტით დამტკიცებულია შეფასების ინსტრუმენტის ფორმა; შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური მხარის და შინაარსობრივი ნაწილის შემოწმების ფორმა; შეფასების პროცესზე დაკვირვების ფურცელი; შეფასების ფურცელი; ვერიფიკაციის დასკვნა. ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო სხვა საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში ჩატარებული ვერიფიკაციის პროცესის ამსახველ დოკუმენტებს. შესაბამისად, დაწესებულებაში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

**2.4.2.3 პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სსიპ კოლეჯი ,,ახალი ტალღა“ პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემებისა და მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არეგულირებს 2020 წლის13 ივლისის №01-04/112 ბრძანებით დამტკიცებული (ბოლო ცვლილება 12.02.2025 წლის N01- 04/21 ბრძანებით) „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“, რომლის მიხედვითაც კოლეჯს დამუშავებული აქვს შემდეგი მექანიზმი: კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ მტკიცებულებები გადაეცემა არქივს შენახვის მიზნით, მტკიცებულებები, სტუდენტთა პორტფოლიოები დაცულია უწყისის გაფორმებიდან სამი წლის ვადით, ხოლო უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ - მუდმივად. მტკიცებულებები, სტუდენტთა პორტფოლიოები 3 წლის ვადის გასვლის შემდეგ, ერთი თვის ვადაში ნადგურდება ან მოთხოვნის შემთხვევაში გადაეცემა პროფესიულ სტუდენტს. რაც შეეხება პროგრამის განხორციელებას ინტეგრირებული სასწავლო გეგმით, ამ შემთხვევაში პორტფოლიოში პროფესიული სტუდენტის მიღწევების ამსახველი მტკიცებულებები ინახება დადასტურების კომისიის ოქმის გაფორმებიდან სამი წლის ვადით, რის შემდეგაც მონაცემები არქივდება და ინახება 5 წლის განმავლობაში. 5 წლის გასვლის შემდეგ დაარქივებული მონაცემები ავტომატურად იშლება.

**2.4.2.4 პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

2020 წლის13 ივლისის №01-04/112 ბრძანებით დამტკიცებული (ბოლო ცვლილება 12.02.2025 წლის N01- 04/21 ბრძანებით) „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ კოლეჯში რეგულირდება შეფასების შედეგების შესახებ პროფესიულ სტუდენტენტთა ინფორმირების, კონსულტირების სერვისების მიღების შესაძლებლობა, პროფესიული სტუდენტების/მსმენელების ინფორმირება შეფასების შედეგების შესახებ ხორციელდება ინდივიდუალურად, კონფიდენციალურობის დაცვით. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მხრიდან წამოსული მომართვის შემთხვევაში, გათვალისწინებულია დამატებითი კონსულტაციები. კონსულტაციის ვადებს და ფორმებს ადგენს სასწავლო პროცესის კოორდინატორი. სტუდენტები იღებენ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით. უკუკავშირის დროს დაცულია მათი პერსონალური მონაცემები. სტუდენტთა შეფასების შედეგები ასევე გამოიყენება პროგრამების განვითარების კუთხითაც. ამ შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება შეიცვალოს მოდულების რიგითობა სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტი ან საგანმანათლებლო რესურსები და სხვა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 2020 წლის13 ივლისის №01-04/112 ბრძანებით დამტკიცებული (ბოლო ცვლილება 12.02.2025 წლის N01- 04/21 ბრძანებით) „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
- ,,ახალი ტალღა“ დირექტორის 2023 წლის 13 ივნისის N01-04/122 ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტს „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია**

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

07.04.2025 წ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------